საქართველოს ეკონომიკის
განვითარების კორპორაცია

სამუშაო შეხვედრის სილაბუსი

როგორ შევიმუშაოთ კომპანიის წლიური ბიუჯეტი

BDO Academy

BDO

სასწავლო კურსის მიზნები

შეხვედრის მიზანია მონაწილეებს მისცეს ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რათა შეძლონ საკუთარი ბიზნესისთვის ეფექტური წლიური ბიუჯეტის შემუშავება და მისი გამოყენება ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაში.

კურსის ხანგძლივობა

4 საათი და 15 წუთ
(1 შეხვედრა)

სამუშაო შეხვედრის სილაბუსი

სამუშაო შეხვედრა შედგება სამი სესიისგან:

I სესია - ფინანსური მონაცემების ანალიზი და ბიუჯეტის ლოგიკა (10:00 – 11:30)

- რა არის ბიუჯეტირება;
- რატომ სჭირდება ბიუჯეტის შედგენა მცირე და საშუალო ბიზნესს;
- ბიუჯეტირების ძირითადი მოდელები;
- როგორ ეხმარება ბიუჯეტი ბიზნესის მფლობელს გადაწყვეტილებების მიღებაში;
- წლიური ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები – შემოსავალი, თვითღირებულება და მოგება;
- ფიქსირებული და ცვლადი ხარჯები მცირე და საშუალო ბიზნესის მაგალითებზე;
- პერიოდების შედარება - ტენდენციების ანალიზი, რა შეიცვალა და რატომ;
- ხარჯების სტრუქტურის ანალიზი - რაში იხარჯება ყველაზე მეტი თანხა და სად გვაქვს დაზოგვის შესაძლებლობა;
- პრაქტიკული სამუშაო:
  - ბიზნესის 2 წლის ფინანსური მონაცემების / ბიუჯეტის ანალიზი
  - შემოსავლებისა და ხარჯების შედარება პერიოდებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით
  - ძირითადი ხარჯების გამოყოფა და შეფასება
  - მთავარი ფინანსური პრობლემის განსაზღვრა

შესვენება (11:30 – 12:00)

I I სესია - წლიური ბიუჯეტის აგება (12:00 – 13:00)

- როგორ დავგეგმოთ მომავალი წელი
- შემოსავლების დაგეგმვა
- ხარჯების დაგეგმვა
- Excel-ის გამოყენება ბიუჯეტირებისას - მარტივი ბიუჯეტის სტრუქტურა, ავტომატური ჯამები და პროცენტული მაჩვენებლები;
- პრაქტიკული სამუშაო:
  - მარტივი ბიუჯეტის შექმნა
  - თვიური შემოსავლების და ხარჯების დაგეგმვა
  - ბიუჯეტის რეალისტურობის შეფასება.

შესვენება (13:00 – 13:15)

III სესია - ბიუჯეტის შეფასება და გადაწყვეტილებების მიღება (13:15 – 14:15)

მეორე სესიის ფარგლებში მომზადებული წლიური ბიუჯეტის ფარგლებში შესრულდება:

- დაგეგმილი და რეალური შედეგების შედარება;
- ბიუჯეტის განახლება;
- სხვადასხვა სცენარის განხილვა – თუ გაყიდვები გაიზრდება ან შემცირდება;
- როგორ დაგვეხმარება ბიუჯეტი ბიზნესის განვითარებაში, ახალი ინვესტიციების დაგეგმვასა და ხარჯების უკეთ მართვაში;

სამუშაო შეხვედრის სწავლების შედეგები

ტრენინგის მონაწილეები სამუშაო შეხვედრის დასრულების შემდეგ შეძლებენ:

- დამოუკიდებლად გააანალიზონ საკუთარი კომპანიის/ბიზნესის შემოსავლები და ხარჯები და შეადგინონ და გაანალიზონ თვიური, კვარტლური და წლიური ბიუჯეტი
- გამოიყენონ Excel წლიური ბიუჯეტის მოდელის შესაქმნელად და გასაანალიზებლად
- შეადარონ ბიუჯეტური და ფაქტობრივი მაჩვენებლები, გამოავლინონ გადახრები და შეიმუშაონ შესაბამისი რეაგირების ღონისძიებები
- გამოიყენონ ბიუჯეტი როგორც ბიზნესის მართვის, გადაწყვეტილებების მიღებისა და განვითარების დაგეგმვის ინსტრუმენტი

სამუშაო შეხვედრის შეფასება

კურსის დასრულების შემდეგ სერტიფიკატის მისაღებად მონაწილე უნდა დაესწროს ვორქშოფს.